**საქართველოს მთავრობის**

**დადგენილება №207**

**2022 წლის 19 აპრილი**

**ქ. თბილისი**

**„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/09/2015, 130030000.10.003.018893) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

**1. დანართ №3-ის („იმ უფლებამოსილი პირების ნუსხა, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალურ დაშვებას უზრუნველყოფენ“) მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„13. საქართველოს გენერალური პროკურორი;“.

**2. დანართ №4-ის („იმ უფლებამოსილი პირების ნუსხა, რომლებსაც აქვთ კონკრეტული ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნების კომპეტენცია“) 21-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„21. საქართველოს გენერალური პროკურორი, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე და მოადგილეები, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XVI[1] თავით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში – აგრეთვე პროკურორი;“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**